

1979

USSR 0132-5965




1979 35660 N3

СЛОВО

# ყვავილები

ზუნია ჩხატიანი



ბილიკ-ბილიკ კორწიოტა  
სულ კისკისით მოდიოდა,  
ციმციმ ია მოჭყეებოდა,  
თან უახლო მოჭყიოდა.

გაციცნეს,  
ამღერეს—  
აღმართები,  
დაღმართები,  
აქ—ტეისწიწი,  
გაღმა—ღელეს,  
მიწს უანა და  
მაღლა მთები.

აუღუნა კიკნა გოგო,  
კრიფა, ავსო კაღათები  
და სოფელში დაბრუნა,  
როგორც ჭრელი ბარათები,  
მსინარული გასაფხულის  
მისალოცი ბარათები.



# ძუბალახი

ნინო ბეჟარაშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

გაზაფხულზე—ტყის პირას, ნოტიო ადგილას ერთი ძუბალახი ამოვიდა. გაიზარდა მაღალი, ტანწერწეტი, გრძელ-გრძელი წიწვები გაიტანა და ნიავის დაბერგაზე საამურიად ირწეოდა.

კარგ ადგილას იდგა ძუბალახი, ძალიან კარგ ადგილას, არც მზე აკლდა, არც სინოტივე, ნია-ვიც ხომ უბერავდა და უბერავდა. ალბათ ასევე იქნებოდა მუდამ, მაგრამ ერთ დღილას რაღაცა შეეხო ცივად.

ძუბალახმა კენწერო დახარა, ძირს ჩაიხედა და სულ დაბლითა მუხლზე მწვანე, პატარა ღერო შენიშნა. მთლად ნორჩი იყო, ჯერ მხოლოდ ორი ხახხასა ფოთოლი გადაეშალა აქეთ-იქით და რაც შეეძლო, გამალბებით მიცოცავდა ზემოთ.

— ვინა ხარ, სად მოხვალ? — ჩახახხა ძუბა-ლახმა.

— ვინ უნდა ვიყო, ხვართქლა ვარ, ამოვალ შენთან და ორიგენი ერთად ვიქნებით.

ეს იყო და ეს; იმ დღიდან მოყოლებული

ხვართქლა აღარ მოშორებია ძუბალახს. ვარშე-მო ეხვეოდა და მაღლა-მაღლა მიდიოდა. ძირი ხომ მთლად შეუფოთლა და ახლა წიწვებზედაც გადაბრძანდა, ზედ გადაეგრისა, თან წვრილი, წვეტიანი კოკრებით დაიხუნძლა.

გადიოდა დრო, ძუბალახს თანდათან უმძიმ-დებოდა მხრები. ხვართქლა ძირზე, მუხლებზე, წიწვებზე მარწუხებივით უჭერდა ბწკალებს და სულს უხუთავდა საცოდავ ბალახს.

ერთხელ რაღაცნაირად მოიკრიბა ძალ-ლონე; შეიშმუნა, გაიწია, გამოიწია, უნდოდა თოკე-ბივით გაბმულ-გამომხული ბწკალები გაეწევიდა და გარეთ გასულიყო.

— რა წრიალი აგიტყდა, მოისვენე, კოკრები არ დამიქლირტლო! — შეუტია ხვართქლამ.

ძუბალახმა ყურიც არ ათხოვა, კიდევ შეიშ-მუნა, გაიწ-გამოიწია, წიწვები სადღაც ტუტრუ-ტანებშიც გააძვრინა, მაგრამ ეს რას უშვე-ლიდა, ხვართქლას ხლართებს სად წაუვიდოდა!

ქ. შიოქოსის სახ. საჯ. სსიპ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
ბი. ბიბლიოთეკა



დასუსტდა, დაიღალა ძუბაბალახი, ოდნავ გვერდზე გადაიხარა.

— ვაიმე, ვაიმე, რას ველოდი და რა მომივიდა! მეგონა ფესვებიდან დავიყრიდი ძუბაბალახებს, ისინიც დაიზრდებოდნენ მაღლები, ტანადები და ჩემი ჯალაბობა დამესგავსებოდა პაწაწინა ფიჭვის ტყეს. თუმცა იმით ვინ ჩივის, მეც ძლიერსა ვდგავარ ფეხზე!

მართლაც ძლიერს იდგა ფეხზე; სადაც იყო წაიქცეოდა. არ იცოდა რა ექნა, ვისთვის ეთხოვა შეველა. შორიხლოს ხან მწყემსი გაივლიდა, ხან მტყევე, მაგრამ ისინი ძუბაბალახისაკენ არც კი იყურებოდნენ.

ბოლოს, ერთი — სიბერისაგან დაღუპული, მხრებში მოკუზული დედაბერი გამოჩნდა. ნელ-ნელა მოდიოდა, ხანდახან შეჩერდებოდა, მიწას ჩააკვირდებოდა, მერე დაიხრებოდა, დანით რაღაც ბალახს ამოსჭირდა და აკალთავებულ წინსაფარიში უძახებდა. ამ ძეხნა-ძეხნაში დედაბერი ძუბაბალახამდე მივიდა.

— რა კარგი წამალი ხარ, რა კარგი, მაგრამ ეს რა მოგვლია, ეგრე როგორ დაგჩაგრა ამ გა-

საწყალებელმა ხვართქლამ. უდროოდ შეგცვლიყფერი, კანიც გადაგხლეჩია, აბა, რაღამ უნდა გასულდგმოლოს! — სიბრალოელით უთხრა ძუბაბალახს დედაბერმა, მერე დასწვდა, უნდოდა ბურდლი შემოეცილებინა, იქნებ გამოზრუნდესო.

ფრთხილობდა დედაბერი, ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ ხვართქლას ხლართებიდან ძნელი იყო გამოჩრევა. წიწვები მთლად დასცივიდა ძუბაბალახს და ძირიც ხელში შემოატყდა დედაბერს. სადაც ძუბაბალახი იდგა, იქ მხოლოდ რთკილა მოჩანდა.

დედაბერმა ხვართქლა ძირფესვიანად მოგლიჯა, დაგაორგლა, მოიქნია და ხევისკენ ისროლა, თითქოს ჯაგვის ამოიყარათო. მეგრე მიწაში ჩარჩენილ როკის გარშემო დანაოკებული ხელი მიუსვმოუსვა, კიდევ ხომ არ დარჩა ხვართქლას ფესვი ან თესლიო და თავის გზაზე წავიდა.

ახლა ძუბაბალახს აღარც სული ენუთება, აღარც მარწუხებივით უჭერს რამე. სადღაც თავის ფესვებთან ჩაუჭრებულა და ელოდება იმ დღეს, როცა სველსა და თბილ მიწას ასურის და ავა ისევ მაღლა, სულ მაღლა!



# საქვე გაუნდათ ნიტუნებს

## კ. გოგიაშვილი

გადაუნტიდა მიდამო  
აღუჩებით და ტყემლებით,  
ატამს ამშვენებს ბრიადი,  
ვაზს—სიხარულის ცრემლები.  
მოდიან, მოიძღვრიან  
რაკრაკა ნაკადულები,  
მწვანედ ირთვება ტყეები—  
ზამთრისგან დაჩაგრულები.  
საქვე გაუჩნდათ ჩიტუნებს,  
ბუდისკენ ეშურებიან,  
თანაც ჭრედჭრულა ყვავილებს  
სტენა-ჭიკჭიკით ხედებიან.



# გაზაფხულის დაკაბია

## ეკვანი ბართაია

ია, ტიტა, ფურისულა  
ერთმანეთში ირვეიან.  
ცაშე ღრუბლის თეთრი ქულა  
თითქოს თეთრი ირემია.  
მზე ღაყვარდის ფერში ცურავს,  
მიწა გათბა დაზაფხული,  
თებერვალი მიიწურა—  
უკვე დაგვა გაზაფხული.  
აღარც ნისიღ, აღარც თოვლი,  
აღარც ცივი ქარებია,—  
გაზაფხულის ხეივანია,  
გაზაფხულის დაკაბია.



# მეღიაშვილი და შოშიაშვილი

რევაზ ინანიშვილი

თებერვალი იყო, ჯანლიანი დილა, მესუთე კლასელები ღუმელს უჩხიკინებდნენ,—“შეშა ნეღლი იყო და არ ვკიდებოდა,—გოგოები რაღაც ნაქსოვებს უჩვენებდნენ ერთმანეთს. ორი გოგოც ღუმელთან იდგა, ღუმელის მიღზე ხელებშემოწყობილები, ესენი ძალიან მცივანები იყვნენ.”

შემოაღო კარი მეღიაშვილმა, ჯერ შემოსული არ იყო, ყურებიანი ქუდი მოიხადა, ხელის ზურგიანად ცხვირზე გაისუვა და გაბარულმა დაიწყო:

— წუხელ ჩემმა ჯავრამ მგელი ჩათეთქვა. მიუბრუნდნენ ბოლისაგან თვალგადაწითლებული ბიჭები.

— სადა, როგორა?

— როგორა და,—მეღიაშვილმა ჩანთა და ქუდი მერხში შეაწყო, პალტოც გაიხადა,—როგორა და, ჯერ დაძინებულები არ ვიყავით, ჩამოიბრინა სახლის გვერდზე თქარათქურით, მამაჩემი მაშინვე მიხვდა, ცხენივით მოთქარუნობს, ხვალი მგელიაო. ამის თქმა იყო და ეცა კიდევ ჩემი ჯავრა.

— ვისა, ბიჭო, მამაშენს?—იკითხა ღუმელის წინ ჩაჩოქილმა შოშიაშვილმა.

მეღიაშვილმა მჟავედ მიხვდა,—მამაშენსო,—და განაგრძო:

— ეცა სათონესთან ჯავრა. გავცივდით სუყველანი გარეთ, მამაჩემმა თოფიც გამოიტანა, თქვენ შინ შედითო, ცოფიანი არ იქონსო, მაგრამ როგორ უნდა ესროლნა, არაფერი ჩანდა, მარტო ძიძგილი, ფიჩხების ლაწა-ლუწი, ხრიალი და კბილების კაპუნი ისმოდა. გორვა-გორვით ჩავიდნენ არხამდის. დილას რომ ვნახე, სულ სისხლით იყო მოთხუნული ჯავრა, თვითონ კიდევ ერთი გაქარულიც არა აქვს.

— აბჯარი ეცვა შენქავრას?—ისევ იკითხა შოშიაშვილმა, წამოდგა, მუხლები ჩაიბერტყა.



მელიაშვილი ქვედა ტუჩს იკვნეტდა, ბიჭებს და გოგოებს უყურებდა, თითქოს ეკითხებოდა, რის ღირსი არის ესაო. ბიჭებს და გოგებს ცნობისმოყვარეობით უბრწყინავდათ თვალები. მელიაშვილი შოშიაშვილს მიუახლოვდა და ხმადაწყულმა უთხრა:

— შენს დამბალ ბოლრიას ჩააცვი აბჯარი, ფეხები რომ ძლივს ამოაქვს ტალახიდან.

— ჩემი ბოლრია შენს აბჯრიან ჯავრას ნაზუქივით შესუკამს, — მშვიდი ღიმილით მიუგო შოშიაშვილმა.

— ვისა, ბიჭო?!

— შენს აბჯრიან ჯავრას.

— ჩემს ჯავრას შენი დამბალი?!

— შენსას.

— ვინც არ ამოიყვანოს სასაფლაოზე და არ აჩხუბოს?

— ეგრე! — ისევ მშვიდად იღიმებოდა შოშიაშვილი.

— აქედანვე, გაკვეთილები რომ დამთავრდება.

— აქედანვე.

— თქვენც წამოდით, — მიუბრუნდა მელიაშვილი ბიჭებს, — მოწმენი იყავით, სერიი ნახეთ. საით წაიდებს მაგის დამბალი ძაღლის ნაფლეთებს ქარი.

— იპიპიპი! რა გამაცინე! — ძალით იცინოდა შოშიაშვილი, — აბჯარი არ დაგავიწყდეს.

— ჩაწყვიტე ხმა! — ველარ მოითმინა მელიაშვილმა. შოშიაშვილმაც წელა წამოიწია წინ.

— შენა, რა ვქნა, კისერი ხომ არ გაგიმსხვილდა ძილში!

ეცნენ ბიჭები, მოხროვდნენ გოგოებიც. მელიაშვილი აქეთ წამოიყვანეს, შოშიაშვილი იქით წაიყვანეს. შოშიაშვილი ღინჯად იმუქებოდა:

— მაგასაც და მაგის გულურიან ჯავრასაც ორივეს ერთად გამოვუყვან წირვას.

„გულურიან ჯავრასო“ და, ისევ გამწარდა მელიაშვილი. მერხზე შეხტა, იქიდან გაღმორია შოშიაშვილისკენ, მაგრამ ბიჭებმა მაინც დაიჭირეს, ბიჭებმაც და გოგოებმაც. ერთს აქეთ აწყნარებდნენ, მეორეს — იქით. ამასობაში ზარიც დაირგა. მასწავლებელი





შემოვიდა, ყველა თავის ადგილზე დაჯდა. მელაიაშვილი დაბოლოებული იჯდა, თავს მალა არა სწევდა. შოშიაშვილის დამკინავედ ეღიმებოდა, მაგრამ არც ის იყო ნაკლებ დღეში. გაიძახა მასწავლებელმა მელაიაშვილი და ორიანი „სკვითა“. გაიძახა შოშიაშვილი და იმან ფრთხილად „დაიმსახურა“. შესვენებებზე ერთმანეთს აღარ მიახლოვებიათ. ბედად მეხუთე ვაკვეთილი გაცდა, მელაიაშვილმა ჩანთა აიღო და ბიჭებს უთხრა:

— წამოიყვანოს თავისი დამაალი და ამოვიდეს სასაფლაოზე.

ბიჭები შოშიაშვილთან მივიდნენ და მელაიაშვილის ნათქვამი გადასცეს.

— ამოვალ,— ისევ მშვიდი ღიმილით დაეთანხმა შოშიაშვილი.

თავდახრილები, ილიებში ჩანთამაჩრჩილები გადიოდნენ გარეთ. გარეთ ცივი წვიმა მოდიოდა, წვიმაში თოვლსაც ურევდა. მარტო მაგარი ბიჭები წავიდნენ სასაფლაოზე. სუსტებმა რალაცვები მოიმიზუნეს და შინსკენ გაიქცნენ,—კატა აყენებინათ და ღუშმელს თვითონ მიჰფიცებოდნენ. სასაფლაოზე ასულმა ბიჭებმა ხმელ-ხმელი წკირები მოამტკრის და ცეცხლი დაანთეს. ჩანთები ქვებზე ეწყოთ. ეჭვსნი იყვნენ: ორი თეთრაშვილი—აღამა და შოთა, ორიც ქათამაძე—კოსტა და სპირიდონა, ერთი ლეკიშვილი და ერთიც გაუარაშვილი. ჩაცუტკულები უშვერდნენ ხელებს ბოლიან ცეცხლს და მელაიაშვილს და შოშიაშვილს ელოდნენ. მალე ისინიც გამოჩნდნენ ბურუსსა და თოვლის ხშირ ფიფქებში. ერთი ერთი ხევიდან ამოვიდა, მეორე—მეორედან. ძაღლები ჯაჭვებით მოჰყავდათ. მელაიაშვილის ჯავრა მწითური იყო, ფეხმაღალი, დაფაციცებული. შოშიაშვილის ბოღრია—ჭრელი, ბომბორა, პატრონივით მშვიდი. მელაიაშვილის ჯავრას სისხლები აღარ ეტყობოდა.

— აბა, სისხლები სადა აქვსო,— იკითხა თეთრაშვილმა აღამამ.

— გაულოკნიაო,— მიუგოა უცებ წამოწითლებულმა მელაიაშვილმა. ბიჭებმა რალაც უკუღმართულად გაიციინეს. შოშიაშვილმა დაუმატა:

— მოჰბანდნენ, ისე ხომ არ დასტოვებდნენ, ვეღარ მოითმინა მელაიაშვილმა, ჯავრა საყვლოთი ასწია და ბოღრიას მიაგდო.

— ეცი, ჯავრაო! შოშიაშვილმაც ატოტებული დაახვედრა თავისი ბოღრია.

ბიჭები საფლავის ქვებზე ახტნენ. ძაღლები ერთმანეთს კი მიაწყდნენ, მაგრამ მხოლოდ წამით წააჭყანდნენ გაოცებული, მერე გაშორდნენ, ერთმა ჩრდილოეთისაკენ დაიწყო ყურება, მეორემ—სამხრეთისაკენ. ეტყობოდათ, აქედან, ამ სიმალიდან, ბურუსში გახვეული ქვეყანა მოსწონდათ. კულს აქიციებდნენ.

მელაიაშვილმა ისევ აიკეცა ჯაჭვი, საყვლოში წაავლო ხელი ბოღრიას შოშიაშვილმაც.

— ეცი, ჯავრა!  
— მიდი, შექამე ბოღრი!

ისევ მიაგდეს ერთმანეთს, მაგრამ ძაღლებმა ამჯერადაც მხოლოდ ვაკვირვებით შეხედდეს ერთმანეთს, მერე პატრონებს მოუბრუნდნენ ასევე ვაკვირვებულები—რა გინდათ ჩვენგან, რას სულელობთო. ერთმანეთს სუნვა დაუწყეს, თავს მდაბლად ხრიდნენ, მხრებით ეხახუნებოდნენ.

აუტყდათ სიცილი მოწმედ მდგარ ბიჭებს.

— ეგენი თქვენს საწინააღმდეგო რალაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს,— დაიძახა ლეკიშვილმა,— წიხლები ჰკარით, რომ გაბრახდნენ.

მელაიაშვილმა ბოღმიანად ახედა ლეკიშვილს.

— ეცი, ჯავრავე, ეცი, შე ვერანავ!  
— მიდი, ბოღრი, მიდი, ჩაანატუნე!— ჯაჭვს აჩხარუნებდა შოშიაშვილიც.

ძაღლები კი მაინც არ აპირებდნენ ჩხუბს. პირიქით, ნამეტან კარგ ხასიათზეც კი გამოიყურებოდნენ. წუთით არ შეუჩერებიათ კულის ქიკინი. თავაწეულები ეგებებოდნენ თოვლს.

— ეე!— იძახდა სპირიდონა ქათამაძე,— არაფერი აქვთ ვასაყოფი და იმიტომ. ღორის ბარკალი უნდა წამოგვლო, მელაიაშვილო, და მაშინ იჩხუბებდნენ.

აქ კი გაცეცხლდა მელაიაშვილი, ასწია თავისი ჯავრა ჯაჭვით, წამოიყვანა შოშიაშვილი—



მაც ბოღრია, მიიყვანეს ერთმანეთთან სულ ახლოს, პირდაღებულგები, კბილებგაქათქათებულგები, მიაგდეს ერთმანეთს და მიაზილეს თითო წიხლიც გამეტებით. იწყინეს ძაღლებმა ეს დამცირება, — ჰაფო! — ელვაზე სწრაფად გაღმორთილდნენ ჰაერში, ჰაერშივე სწედნენ პატრონების კანკებს და გააქან-გამოაქანეს აქეთ-იქით. პატრონებმა, მელაიაშვილმა და შოშიაშვილმა, უმწყოლ გაასავსავეს ხელები და, რომ ვერაფერს მოეჭიდნენ, მიწაზე გაგორდნენ. ერთიც საკუთარ კანკს ებლაუქებოდა, მეორეც, ერთიც კვნესოდა, მეორეც.

ძაღლები ქვემოთ გარბოდნენ, რამდენჯერმე შეფიქრიანებულგებმა მოიხედეს, მერე კულის აჩქარებული ქიციანი მიახლოდნენ და ერთად განაგრძეს გზა. თავშეკავებული სიცილით გაგულული მოწმე ბიჭები ქვევს უშენდნენ, მაგრამ ვერცერთი ვერ მოარტყეს. სამნი მელაიაშვილს მიესივნენ, სამნი შოშიაშვილს, წამოაყენეს, გაუსინჯეს კანკები, — ნუ ვეშინიათ. სისხლი დაედით, სისხლი რომ არ

წამოვა. მაშინ არის ნაკბენი ცუდიო. — და ასე, მხრებში შემდგრებმა, ჩამოიყვანეს თავქვეზე.

— მოვკლავ! — ემოქრებოდა მელაიაშვილი ჯავრას. შოშიაშვილს, იმ ოხერს, მაინც ელიშებოდა, ძაღლები კი ჩავიდნენ სულ დაბლა, იქ ერთი ძეძვი იღვა, ასწიეს ფეხი, ერთმა ერთი მხრიდან დაასველა ის ძეძვი, მეორემ — მეორე მხრიდან (თითქოს თოვლტყუპისგან დასველება აკლდა) და მერე ხტუნვა-ხტუნვით, ჯაქვის ჩხარუნით გაიქცნენ თავთავიანთი სახლისკენ.

ახლა ყველანი მეშვიდე კლასში არიან, თეთრაშვილებიც, ქათამაძეებიც, გაუარაშვილიც და სხვებიც. შეგიძლიათ, მიხვიდეთ და პირადად ჰკითხოთ, მართლა ასე იყო, თუ არა. მარტო შოშიაშვილი ჩარჩა მეექვსე კლასში, აულელეგებოდა, თავისი მოუშორებელი ღმილით, ის მეექვსე კლასელებთან უნდა იკითხო, მეექვსე მეორე კლასში.


ძაღლები, ბოღრია და ჯავრა, დღესაც ძალიან ყოჩაღად გრძნობენ თავს.



# გაზაფხული მოვიდა, ამოდიან იები...

შალვა ფორჩხიძე

გაზაფხული გვიღიმი,  
ზღვა ლივლივებს კრიალა,  
ქარმა ნისლი წახვეტა,  
შორს, შორს გადიგრიალა.  
გაზაფხული მოვიდა,  
ამოდიან იები,  
აყვავილდნენ ერთბაშად  
თეთრი მაგნოლიები.  
მზე ცხრათვალა მიღიმის,  
დღის ლურჯი თვალებით,  
თავზე ქოლგას მახურავს  
ტანწერწეტა პალმები.  
გაზაფხული მოვიდა,  
ცილან სხიენი მოჭკრიან  
და ელვარებს ზღვის პირას  
თეთრი სანატორია.  
გაზაფხული მოვიდა,  
ამოდიან იები  
და ჰყვავიან, ჰყვავიან  
თეთრი მაგნოლიები!



ნახტი თამაზ ხუციშვილისა

# მეგობრობის ძაღა

## ოთხია იოსელიანი

დგანან ჰადრის ძირას ზაზა და უჩა და ფიქრო-  
ბენ—რა მოიგონონ ისეთი, ერთმა დიდმა და მეო-  
რე პატარამ, რომ ითამაშონ. ეზოში სილაყ კი  
არაა, რომ გვირაბი გაიყვანონ. ერთი ვატეხილი ბე-  
ტონის მილი ავღია ჰიშკართან, ოდესღაც გზის  
მშენებლებმა შემოაგორეს და დატოვეს. გაძვრები  
ამ მილში, გაძვრები და გამოძვრები, მაგრამ ეს რა  
თამაშია. ადრე აჰ მანქანის ერთი ვაცვეთილი სა-  
ბურავი ევღო და ისიც ხულიგანმა ბიჭებმა წაი-  
ღეს...

ხულიგან ბიჭებთან თამაში კი არ შეიძლება. ამას  
გარდა, ჰუჩაში მანქანებია.

— ლა ვქანათ? — კითხულობს თვალატირებული  
უჩა.

— არაფერი...—ლონდება ზაზაც, —ისე, ყველაფე-  
რი შენი ბრალია!

უჩა პირს აღებს, ცხვირს გოკივით მაღლა სწევს  
და ეკითხება:

- ლატომ?
- რატომ და, პატარა ხარ.
- ალც შენ ხარ დიდი!—არ ეთანხმება უჩა.
- მოდი, დამეტოლე და დიანახავ პატარა თუ  
არ ხარ.

უჩა მიდის და გვერდით უღღებია.

- შენ ხალ დიდი!
  - ისეთი პატარა ხარ, კაციშვილი ვერაფერს გა-  
გაგებინებს. ამიტომ, ჯობია შენს ტოლებს ემეგობრო.
  - ალ მინდა!—შეშინდა უჩა, მეგობარი დამე-  
კარგებაო და აბლაღღა.
  - ნუ ღრიალებ! შენი ბრალია, რომ ბაღში არა  
ხარ და „რ“-ს მასწავლებელთან დადიხარ...
  - „ლოლ“ ალ ვიცი, —ყურები ჩამოყარა უჩამ.
  - „ლ“ კი არაა, „რ“ არ იცი და რომ ადგე და  
თქვა „რრრ“, მაშინვე ბაღში წაგიყვანენ.
  - ალ ვიცი და...
  - რატომ არ იცი მერე, ვერ იტყვი „რ“-ს?
  - ვეღა.
  - რატომ ვერ იტყვი, მე ხომ ვამბობ „რრრრ“!
- უჩა გვერდით დაუღდა და ისევე დაეტოლო.
- შენ დიდი ხალი!
  - შენხელა რომ ვიყავი, მაშინაც ვამბობდი.







- ამბობდი? — გაუკვირდა უჩას.
- შენზე ბატარა რომ ვიცავი, — ზაზამ უჩას გულზე ხელი მიადლო — აი, ამოდენა რომ ვიცავი, მაშინაც ვამბობდი.
- ლლლ!
- ლლლ კი არა, რრრ!
- ლლლ!
- რრრრ!
- ლლლლ!
- რრრრრ! გაიგონე ყურში!
- ლლლლლ! — აღრიადდა უჩა, — აღ ვიცი და!..
- არ იცი და, დაეტიე სახლში.
- შენ?
- მე წავალ ბაღში და მასწავლებელს ვეტყვი, ციციწოსაც ხომ ჰყავს ბებიი და მიიღეთ, ამიტომ მეც მიმიღეთ-მეთქი. მიმიღებენ და უამრავი მეგობარი მეყოლება.
- მე? — დაალო პირი უჩამ.
- შენ იმაზე „ლლლ“ და იარე „რა“-ს მასწავლებელთან.
- უჩამ ღრიალი მორთო.
- რა გღრიალებს, ვითომ შენი ბრალი არ იყოს, ადექი და თქვი „რა“!
- ველაა! მეგობალი მინდაა!
- მეგობარი რომ გინდოდეს, შენი ტოლებს მეტი რაა საბავშვო ბაღში, მაგრამ დაგიჩემებია „ლ“ და არ იშლი.
- ვიშლი!
- თუ იშლი, თქვი „რა“.
- ლლლ!
- შენ ჯიუტობის მეტი არაფერი არ იცი.
- ვიცი!
- აბა, რა იცი, მითხარი.
- ათის დათვლა ვიცი.
- როცა მოინდომე, დათვლა ხომ ისწავლე?
- ვისწავლე.
- არა, არ ინდომებ, თორემ „რა“-ს თქმას რა უნდა. მე თუ გინდა ოც „რა“-ს გეტყვი და კიდევ მეტს...
- ლლლლ!
- ჰმ, ამას ქვია მონდომება, ესაა მეგობრობა?
- მეგობალი ვაალ!
- თავი დამანებე! — გაბრაზდა ზაზა და სადარბაზოსაკენ გასწია.
- ლლლ! — გამოუღდა უჩა, მაგრამ „რა“ არ

უთქვამს და ზაზას არ მოუხედიო.

— მეგობალი ვაა!—მიძახა უჩამ,—ლა ვუყოთ,  
„ლა“-ს ვერ ვამბობ, მეგობალი ამიტომ უნდა დამ-  
კალგო!

მაგრამ ზაზასაც რა ექნა, მართლა და, ამ ერთი  
„რა“-ს თქმა არ გაჯირდა.

ზაზა კიბეს სირბილით აუყვა და მოაძახა:

— სანამ „რა“-ს არ იტყვი, ხმა არ გამცე!

— ლლლლ!

უჩან გამოუდგა უჩამ, მაგრამ ზაზამ მებუთე სარ-  
თულზე, რა თქმა უნდა, აასწრო და ოთახში შეი-  
კმტა-

უჩამ კარზე მუშტები დასცხო და აღრიოლდა:

— გამიღე, მეგობალი ვალ!

— არა ხარ! „რა“-ს რაკი ვერ ამბობ, არ გაგი-  
ღებ და არც შენთან მოვალ!

— დედააა!—აბღავლდა უჩამ და კარებს ახლა  
წიხლებიც დაურთო.

ხმაურზე და ღრიალზე ბებიამ უშველგებელი წიგ-  
ნიც კი გადადო და იკითხა:—რა მოხდა, დერფენაში  
საქონლის ჯოგი ხომ არ შემორკვესო.

— უჩამ, ბებია,—აუხსნა ზაზამ.

— მეგრე, რატომ ამტვრევს კარებს?!—გაუკვირ-  
და ბებიას.

— არ ეუღლებ, მეგობარი ვარო, იძახის და  
„რა“-ს ვერ ამბობს.

— გამიღეე!—დასცხო და დასცხო უჩამ კარებს.

— ასე არსად არ წერია!—გაუკვირდა მწიგნო-  
ბარ ბებიას,—მეგობრებმა ერთმანეთს უნდა გაუ-  
გონ. გაუღე კარი!

— თქვას „რა“!

— გაუღე და იტყვის, ვითომ რატომ არ იტყ-  
ვის?

— რომ გაგიღო, იტყვი?—გასძახა კარს იქით  
ზაზამ.

— გამიღე და ვიტყვი!—გასაღების ქუქრუტანაში  
შემოტირა უჩამ.

ზაზამ გასაღები გადასწია.

თელატირებული უჩამ ოთახში შემოვიარდა.

— ხომ გაუღე, ახლავე თქვას, თუ არა, წავი-  
დეს აქედან!—მიუბრუნდა მოხუცს ზაზა.

— ალ წაივალ!

— ნუ წახეღო, ბებია, მარა „რა“ თქვი!—დაუყ-  
ვია მოხუცმა.

— ველააა!..

— ბავშვი ხბო ხომ არაა, რომ „რა“ ვერ თქვას!—





გაუკვირდა ბებიას და დიდი წიგნი მუხლებზე დაი-  
ლო.

— ხომ გითხარი, არ ამბობს, დამინებოს თავი,—  
ზაზამ უჩას მხარში ჩააფრინდა და გარეთ გაგდებდა  
დაუპირა. უჩამ ხელები გაშალა და კარებში გაე-  
ხიდა.

— წადი აქედან!

— ალა!

— მაშინ თქვი!

— ველა.

— აი, თუ ვერა, შე მატყუარა, წაეთრიე აქე-  
დან!—გაძლიანებულს ქეროში წვედა, ის იყო, კინ-  
წისკერით უნდა გამოეგდო, რომ უჩამ იყვირა:

— ალ-ალ-ალ-არა!

— ალა!

— ახლა თქვა და ისევ „ალას“ იძახის,—კვლავ  
ჩაავლო ხელი ვაცეცხლებულმა ზაზამ და ისევ კინ-  
წისკერით გამოგდებდა დაუპირა, რომ უჩამ ისევ  
იყვირა:

— არა!

ზაზამ ისევ უშვა ხელი.

— ხომ თქვი?

— ალა.

— ეს თავისას არ იშლის!—ზაზა ორივე ხელით  
უჩას ზურგზე მიაწვა.

— ააარა, აარა, არა!

— ხომ გცოდნია!

— არა, არა, არა, არა!—იმეორებდა სიხარულით  
აცრემლებული უჩა.

— კი გცოდნია!—იამა ბებიასაც და სქელი წიგ-  
ნის კითხვას შეუღდა.

— ახლა სხვა თქვი,—გააწყვეტინა ზაზამ,—არა,  
არა, რომ ავიჩემებია.

— ლა... არა, რა ვთქვა?

— თქვი... მე-გო-ბა-რრი.

— მე-გო-ბა...—შეშინდა უჩა, ვაითუ ისევ ვერ  
ვთქვაო.

— რი, რი, რრრი!—შეშველა მეგობარი.

— რი, რი, მე-გო-ბა-რრი!

— მეგობარი!

— მეგობარი!

— ხომ გეუბნებოდი, ჯიუტი ხარ-მეთქი!

— კი მეუბნებოდი!—დაეთანხმა ყურპანტურა  
უჩა.

პირდაპირ საოცარია, რა არ შეუძლია მეგობ-  
რობას!






# ნაკუნა და შიყვი

გაქან სვანიძე

**ნაკუნა**— ციეგო, ციეგო, აქ ჩამოდი,  
სემოდან რას ჩამოტყქერი,  
აქ ბევრია წაბლიც, თხილიც,  
საკანტუნო, მოსლაცხნი.  
აბა, ჩქარა, აბა, ჩქარა,  
ფულურთში გადმოძვერი,  
რამდენიც გსურს აგნატუნე,  
შინ არ არის მასწინძელი...

**შიყვი**— არა, წრეწუნ, არა მძია,  
სოკო უკვე გეასელი,  
თანაც ეელში მოხარული  
არ გადავა არაფერი...  
ხილი მაშინ შეაძება,  
მაშინ არის გეპრიელი,  
ჩემს ეზოში, ჩემს სენილზე,  
შე რომ მოკურნო ჩემი სელით.





# ხაბი გოგონა

ირინე ტალიაშვილი

ჩემი პატარა მეზობელი ლელა მთელი დღე ქუჩა-ქუჩა ასკინკლით დახტორდა და გამფლელ-გამომვლელს ეკითხებოდა: — ხომ არ იცით, სად ვიშოვო სიხარული? ხომ არ იცით, სად იყიდება სიხარული? — გამფლელები იღიმებოდნენ, თავს აქნევდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რა ხუმარა გოგონააო. ლელას კი სულაც არ ეხუმრებოდა, მართლაც უნდოდა სიხარული ჰქონოდა, დიდი, ლამაზი სიხარული.

ბოლოს, ერთი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდა, — სიხარული როგორ არ ვიცი, აგერ, გამოფენაზე რამდენიც გინდა, იმდენიაო, — მიასწავლა გოგონას.

გამოფენაზე რომ მივიდა, თვალები აუქრელდა ლელას, რა გინდა სულო და გუ-

ლო, რომ იქ არ იყო გამოფენილი. დიდი, პატარა, წითელი, ყვითელი, მწვანე, ერთი სიტყვით, ნაირ-ნაირი სიხარული. გოგონა დაბნეული იღგა, აღარ იცოდა, რომელი აერჩია. ისევ სიხარებმ სძლია; მოხვეტა ყველა ერთად და ტომარაში გადაუძახა. გაჯავრდნენ სიხარულები: — ეს ვინ ყოფილა, მარტო თვითონ უნდა უხაროდეს? ჩვენ ყველა ბავშვს ვეკუთვინითო, — თქვეს და ტომარა გაგლიჯეს, ერთად ხელგადახვეულები ცაში აიჭრნენ და ზედ გადაერკაღნენ.

— ცისარტყელა, ცისარტყელაო! — იყვირეს პატარებმა, ათასგვარი ფერი რომ დაინახეს ცაზე. აბა, მათ ხომ არ იცოდნენ, რომ ესენი ხარბ გოგონასგან გამოქცეული, ერთად თავმოყრილი სიხარულები იყვნენ. ლელა კი იღგა თვალცრემლიანი, გაბუტული და ნაწყენი ჩურჩულავდა: — ვგეც სიხარულია რა, ზეცაში ყურებით ხომ თვალები მეტკინაო.






## დედის გულის ბასხხარად

შოთა ამიკანაშვილი

დილით ადრე—ბოძინამ,  
გოგიტამ და მინდიამ  
გაზაფხულის ყვავილები  
მოიტანეს მინდვრიდან.  
ღურჯი იაც უხვად იყო  
და ქათქათა ენძელაც.  
ზედ ბარათი დაამაგრეს,  
რომელშიაც ეწერა:  
დედა, რვა მარტს მოგილოცავთ  
იითა და ენძელით,  
მრავალს ზეიმს დაესწარი,  
იყავ მუდამ დღეგრძელი.



## გელურების სიხარული

ავთანდილ მებრაილიშვილი

ამ მარტით და ამ ქარით,  
ამ მიზითა და ამ მთვარით  
კულამოძუებული  
გაიპარა ზამთარი!

მზემ გაგვათბო მზეწვიამ,  
ალარ ვთრთივართ სიცივით,  
გაზაფხული გვეწვია—  
ყვავილების სიცილით!





# მელუზა

## ანდრო ლომიძე

მელუზა ზარის მოყვანილობის მრავალკაციანი, მსუსხავი ზღვის ცხოველია, არის შემთხვევა, როცა აღამიანი ბანაობის დროს შეგებია და მერე ის ადგილი ასწვია, გასწითლებია, თითქოს ჭინკარს დაესუსხოს.

ერთი მელუზა მეორისაგან განსხვავდება, როგორც სიდიდით, ისე შხამიანობით.

ისლანდიაში უზარმაზარი, წითელი მელუზები მკვიდრობენ, ხოლო ბირმაში შავი, თეთრი, ყვითელი, ცისფერი, მწვანე და ვარდისფერი. ბირმელი მებაღურები მელუზებს ტაილანდში გზავნიან, ტაილანდლები კი გემრიელ კერძებს ამზადებენ.

ერთხელ ავსტრალიის ზღვაში მკერდამდე შესულ ცამეტი წლის ბიჭუნას კისერზე რალაცამ უჩხვლიტა. ბიჭუნა მიხვდა, რომ გამჭვირვალე მელუზა შხამიანკაცებით შეეხო და შეშინებულმა ნაპირს მიაშურა, მაგრამ ხმელეთზე ასვლისთანავე გარდაიცვალა.

## კარლლის სიმღერა

### სირა ძიბიაშვილი

მე მშიშარა სუღაც არ ვარ,  
რად ჰგონიათ სხვებსო,  
სოფლის ძაღლებს მე ვაფხიზებდ  
ლამეცა და დღეცო.  
აფუქროლებ, ჩავუქროლებ,  
გავავგორებ ქვებსო  
და ხმაურზე მეძებარი  
ორღობეში ჰყეფსო,  
მე კი მშვიდად ჩირგვში ვბივარ,  
ვიბვირებ ღექსსო.

## კვიცი

### თელო ბაქიშვილი

ისეთია ჩვენი კვიცი—  
უკეთესი არსად ვიცი.  
ვასმევ წყალსა,  
ვაჭმევ ძერსა  
და მიგონებს ყველაფერსა.  
წელამდეც კი ველარ ვწვდები,  
ისე დიდი გაიზარდა,  
წელს არა და უსათუოდ  
მოვანტები გაისადა!



## ცოცხი და მგვიკსასკუპი ფოთოლა ჩიხაკაძე


დაგომანობს მტვერსასრუტი  
და ოთახში მტვერსა სრუტავს,  
ამის გამო მე და ბებოს  
ძველი ცოცხი გაგვებუტა.  
წავიდა და გულმოსული  
კარგებს უკან აეყულა.

კანკინა  
თოჯინა

### ნუნუ ლალიძე

პაწაწინა თოჯინა  
ვევლას, ვევლას მერჩია;  
მიპანულა თამრიკო,  
თმები დაუგლეჯია.  
სულ შეცვლილა თოჯინა,  
ძლივს ვიცანი, საწვადი!  
„რატომ მიმატოვეო?!“  
ჩემსე არის გამწვანადი.

# თავსწახი




შეავსეთ ცარიელი უჯრედები ხილის სა-  
ხელწოდებებით ისე, რომ ფერად სვეტში  
მიიღოთ—რვა მარტი.  
შეადგინა ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლის  
მოსწავლემ დათო ხეცურიაძემ.

**ბაბოს უხველებიან**  
ღავით შავაძე

ბებო მაკრინე მარჯვედ  
სალამოს ფურს რომ წველის,  
გია ბოჩოლას იქერს,  
არ შეუშალოს ხელი.  
მსუყე რძით საგსე ვედროს  
თამამად იქერს ლელა,  
თან აკვირდება ბებოს,  
უნდა ისწავლოს წველა.







# ნათიას კევა

ია მაზაპარიანი

ნათიას ერთი კატა ჰყავს,  
სხვა კატებს არ ჰგავს სრულებით,  
ზურგი ზომ ჰრეღზე ჰრელი აქვს,  
კუდიც ჰრელი აქვს, ყურებიც.  
მისი ცისფერი თვალები  
ზოგჯერ ცეცხლისფრად ანთია,  
სულ იმის ყურებაშია  
ჩვენი პატარა ნათია.



## წაკუსი



შეადგინა ქ. თბილისის IV კლასის ოს.  
წავლემ ეკა მამისაშვილმა.



შხატვარს ფრინველებისა და ცხოველების სადგომი ერთმანეთში აერთიანებს. დაეხმარეთ ზოოპარკის ბინადართ დაუბრუნდნენ თავთავიანთ ადგილს.

შთავარი რედაქტორი შუხრან შატაშვიანი

სარედაქციო კოლგვა: ანზორ აბულაშვილი (პ/მ, მდივანი), ელზარე ამოკაძე, კაპარი გომეზიშვილი, ლილა მარამ, მამულა მრავიშვილი, ჯიშვიტ მუჯირი, გიორგი რიშინიშვილი (სამ. რედაქტორი), იორანე ამირტალია, რომანე ლარიანი, გიგი ქედიანი.

საქ. აღკ. ცა-ისა და ვ. ა. ლენის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ტურნალი. ელანე ნახატი ელზარე ამოკაძისა გამომცემის 82-ე წელი. ტექრედაქტორი მელი შამთიალი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენის, 14. ტელ.: შთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მ მდივანს — 93-10-32, 93-98-17; სამ. რედაქტორის — 83-98-18; გამკ. — 93-98-19; სამდივანის — 93-98-16. გადრეცეცა ასაწეობად 22/ХИ-78 წ., ხელმოწერილია დისაბეღლად 26/1-79 წ., ქალღლის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფი. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შტე. № 3166 „დილა“ № 3. ნა გრუიანკოკ იაკე. ფაბე 20 კაბ.

საქ. კვ ცა-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии